ეძღვნება ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს

● ამ ღონისძიებამ ხელი უნდა შეუწყოს მძლეოსნობის პროპაგანდას რესპუბლიკაში.

● გარბენში ყველას შეუძლია სცადოს ბედი. მონაწილენი (ბოგოები, ჭაბუკები, ქალები, ვაჟები) ოთხ ასაკობრივ ჯგუფებში იასპარეზებენ: I — 1976 წლამდე დაბადებულნი; II — 15-19 წლისანი; III — 20-39 წლისანი და IV — ვეტერანები (39 წლის ზევით).

● **რბენაში მონაწილეობისათვის აუცილებელია ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა (რაიონის, ქალაქის ჯანგანყოფილებიდან), ფოტოსურათი, პირადობის დამადასტურებელი საბუთი, დაბადების წლის ჩვენებით.**

● **ბარბენში მონაწილეობის მსურველმა წინასწარ უნდა შეავსოს სპეციალური ბლანკი და ჩააბაროს იგი ორგკომიტეტს (ჭავჭავაძის გამზირი 49-ბ. ტელ. 29-28-93, 22-30-81). მიიღება კოლექტიური განაცხადებიც. განაცხადების ჩაბარების ბოლო ვადაა 1991 წლის 24 მაისი, 18 საათამდე. არათბილისელთათვის განაცხადებს მიიღებენ სტარტის დღესაც, 25 მაისს, 12 საათამდე.**

● **ასაკობრივ ჯგუფებში გამარჯვებულთათვის დაწესებულია იმპორტული და სამამულო წარმოების აპარატურა და ინვენტარი, აგრეთვე, ფულადი ჯილდოები.**

● ყველაზე ნორჩ და ყველაზე უხუცეს მონაწილეებს, თუკი ისინი დისტანციას დაამთავრებენ, გადაეცემათ სამახსოვრო საჩუქრები.

● **ნუ გაუშვებთ ხელიდან თქვენი ჯანმრთელობისა და მატერიალური წახალისებისათვის ესოდენ ხელსაყრელ შემთხვევას.**



ვეტერანთა შორის გამარჯვებული დაჯილდოვდება „ქიგულის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანით

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი XII ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 1:1
„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ოვერია“ (ხაშური) 1:1
„ხულორი“ (ვანი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 3:1
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „მზიური“ (გალი) 2:1
„იბერია“ (თბილისი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 6:0
„გურია“ (ლანჩხუთი) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:1
„გორდა“ (რუსთავი) — „დილა“ (გორი) 2:3
„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 4:0
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 2:0
„ბათუმი“ (ბათუმი) — „ცხუმი“ (ხოხუმი) 3:2

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

17 მაისი, პარასკევი, 1991 წ.
№ 90 (10 503) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

15 მაისს აბაშაში

დიდი ცხენოსნური ზეიმი გაიმართა აბაშაში. მწერალ-აკადემიკოს კ. გამსახურდიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ ღონისძიებაში მეზობელი რაიონის მხედრებიც მონაწილეობდნენ.

ზეიმზე გათამაშდა ლატარია — ძვირფასი ჯილდო წმინდახიხლიანი ცხენი — წილად ხვდა აბაშის სახოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეს ზვიად კაჭარავას.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო

ფინიშამდე რაღა დარჩა...

გადადებული პარტიების დამთავრება. გაფრინდაშვილი — იოსელიანი 1:0, გურგენიძე — არახამია 0:1, არახამია — კახიანი 1:0, გიორგაძე — სტურუა 0,5:0,5, გაფრინდაშვილი — გურგენიძე 0,5:0,5. გიორგაძე — გურგენიძის პარტია კვლავ გადაიდო.

სამ პარტიას ამთავრებდა გურგენიძე. თანაბარ ენდშპილში იგი ყაიმზე შეუთანხმდა გაფრინდაშვილს. ვერ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება არახამიასთან და ამ ტურნირში პირველი დამარცხება განიცადა. ახლა დარჩა შეჯიბრების ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილე — ჯანჯღავა. რაც შეეხება გურგენიძის მესამე გადადებულ პარტიას გიორგაძესთან, აქ ვეტერანს უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ უზუსტოდ ითამაშა და გიორგაძემ არა თუ გამოასწორა მდგომარეობა, არამედ. ზედმეტი პაიკიც დარჩა. პარტია კვლავ გადაიდო მწვავე პოზიციაში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გიორგაძე — სტურუას პარტიის დამთავრებას. იგი გადადებული იყო თეთრების მატერიალური უპირატესობით და ბევრი ექსპერტი სტურუას პოზიციას წაგებულად თვლი-

იხ. მე.2 გვ

როგორც იქნა...

ჩვენში ათასნაირი მცირე საწარმო იქმნებოდა და იქმნება, და ამ საწარმოთა ნიაღვარში ერთიც არ აღმოჩნდა, სპორტული ინვენტარის დამზადებით რომ დაინტერესებულიყო, არადა, როგორ გვჭირდება ისინი გამოცარიელებულ სასკოლო სპორტულ დარბაზებში, საცხოვრებელ კორპუსებთან თუ სოფლად გაშენებულ სპორტულ მოედნებზე, საერთოდ ყველგან. ახლა კი... როგორც იქნა....

თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების სპორტკლუბ „შევარდენის“ თავმჯდომარემ მერაბ ქვირიკაშვილმა გადაწყვიტა ასეთი საწარმო საავიაციო გაერთიანებაში შექმნილიყო. მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ: „არასტანდარტული მოწყობილობების მცირე საწარმო“, რომელიც ენთუზიასტთა წყალობით შეიქმნა, უამრავი ,,დასახელების სპორტულ ინვენტარს ამზადებს, რაც მთავარია, დაკვეთა შეგიძლიათ მისცეთ საკუთარი ნახაზითაც.

— ამჟამად ჩვენთან მზადდება კალათბურთის დგარები და ფარები, მკლავჭიდის მაგიდები, ტრენაჟორები, სხვა სპორტული ინვენტარი — გვითხრა მ. ,ქვირიკაშვილმა.

სად შეიძლება მიაკითხონ მსურველებმა შეკვეთის გასაფორმებლად? — უშუალოდ საავიაციო საწარმოო გაერთიანების სპორტკლუბში, რომლის მისამართია: თბილისი — 380036, ბ. ხმელნიცკის 181, სპორტკლუბ „შევარდენის“ გამგეობა. ტელ. 71-70-79, 71-84-53.

ისარგებლეთ ამ შესანიშნავი შესაძლებლობით.

21 მაისს 15 საათზე ფიზკულტურის ინსტიტუტის საჭადრაკო დარბაზში ჩატარდება საქართველოს რესპუბლიკის შიუდის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა.

დელეგატების რეგისტრაცია იწყარმოებს 13 საათიდან.



ლაბტის წრეში

თურმე საცურაო აუზი იქაც შეიძლება აეგოთ, სადაც არ იყო საჭირო

ახლა, როცა მიწისძვრით მოყენებული იარა ჯერ არ მოგვშუშებია, როცა ნანგრევებად ქცეულა ახობით საცხოვრებელი თუ ადმინისტრაციული შენობა, იქნებ უხერხულიც კი იყოს მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ისეთ ფაქტს, რომელსაც კავშირი არა აქვს სტიქიასთან, მაგრამ მერწმუნეთ, არასოდეს არ გვმართებს თვალის დახუჭვა იმაზე, რაც ადამიანის გულგრილობის ნაყოფია. საქმე ეხება ზუდა ეწერის საცურაო აუზს, რომელიც ამ სამი წლის წინათ გადაიცა ექსპლოატაციაში, დღეს კი გავერანებული და გამოუსადეგარია.

საცურაო აუზით დღეს ბევრი ქალაქი თუ რაიონული ცენტრი ვერ დაიკვეხნის, მისი აშენება მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ზედაეწერელებმა კი ეს პრობლემა გადაწყვიტეს. თუმცა კი აუზი გაჭიანურებით შენდებოდა. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა აუზი გაიხსნა. როგორც გვჩვევია, საზეიმო ცერემონიალიც საუცხოო იყო — რესპუბლიკის სხვა-



დასხვა ქალაქიდან მოიწვიეს სპორტსმენები, სპეციალისტები, ითქვა ლამაზი სიტყვები...

მას შემდეგ ხაკმაო დრო გავიდა. აუზის არსებობა ყველას დაავიწყდა, არა და, იქ გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა და გვეგონა დღეს თუ არა, ხვალ აქაური სპორტსმენები რესპუბლიკურ არენაზეც გამოჩნდებოდნენ. ნურას უკაცრავად, ხულ მალე დაიხურა.

შოკუსმინოთ ზედაეწერის სახოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტული კლუბის თავმჯდომარეს გივი გვილავას:

— საცურაო აუზის მშენებლობა რომ დაიწყო ზედა ეწერში, მაშინ ტექნიკუმი და მეურნეობა გაერთიანებული იყო. მშენებლობა ათ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და აუზი [illegible] ამოქმედდა, ტექნიკუმი და მეურნეობა უკვე გამოყოფილნი [illegible] ერთმანეთს. მოხდა ის, რაც არავინ ელოდა. საცურაო აუზს მეურნეობა დაეპატრონა, ჩვენ კი განზე დავრჩით. ფაქტიურად, ტექნიკუმის მოსწავლეებს იქ ფეხი არ შეუდგამთ, არადა, აუზი ჩვენგან ას მეტრზეა. მოიწვიეს ცურვის სპეციალისტები უკრაინიდან, თუმცა, ხათანადო პირობები ვერ შეუქმნეს და სტუმრები უბოდიშოდ წავიდნენ. მეურნეობის ხელმძღვანელობა კვლავ პრინციპულ უარზე დადგა, აუზის ჩვენთვის გადმოცემა არ ინება. საქმეში ჩაერევნენ სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ზუგდიდის რაიონული განყოფილება, სხვა ოფიციალური პირები, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა.

დგას დღეს ყველასაგან მიტოვებული საცურაო აუზი. არავის აინტერესებს მისი არსებობა; უპატრონობით ისე გავერანებულა, რომ ასე მტერიც კი ვერ გაიმეტებდა. აუზის სამი მხარე მინებით არის დახურული, წინა ფასადს მოზაიკური პანოც ამშვენებს. მინების უმრავლესობა ჩატეხილი ან გაბზარტილია, ფოიეს აწვიმს... ნაგვით სავსეა თითქმის ყველა ოთახი, ხათავსი. წყალი დგას გახახდელებში, თავად აუზში კი ათასი წვრილმანი ყრია.

როგორც ბატონმა გივიმ მითხრა, მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსი უნდა აგებულიყო, შედგა ხარჯთაღრიცხვა. თანხის ნაწილიც დაიხარჯა, მაგრამ მშენებლობა შეჩერდა და დღესაც არავინ ფიქრობს მის გაგრძელებას.

ორჯერ ვიყავი ზედა ეწერში. მაინტერესებდა მეურნეობის ხელმძღვანელთა აზრი ამ საკითხებზე. სამწუხაროდ, ადგილზე არ დამხვდნენ. თუმცა თავის მართლების დრო არ არის, ფაქტს სად გავექცევით. აუზის მშენებლობისათვის მილიონებია ჩაყრილი, უკუშედეგი კი... განა ეს ვინმეს ეპატიება? ჩვენში ხომ მრავალ ქალაქში, რაიონულ ცენტრებშიც კი არ არის საცურაო აუზი.

იქნებ ამ ფაქტმა დააფიქროს პროექტის ავტორები, ისინიც, ვინც თავდაპირველი გადაწყვეტილება მიიღო — საცურაო აუზის ასე წინდაუხედავად აშენება განა შეიძლება, როგორც შემდეგ ცხადი ხდება, ვერ უალიან, ვერ ტვირთავენ და ფუჭად იყრება წყალში ამდენი თანხა თუ შრომა.

აუზში ძლივძლივობით შევაღწიე; ვიღაცას მაზუთი წაუსვამს კარებზე ჩატეხილ მინის ჩარჩოებზე, ვითომ იმ მიზნით, შიგნით არავინ შევიდეს. ვაი, ხირცხვილო! ნუთუ ამით მოიხადეს თავიანთი ვალი? მას შემდეგ საკუთარ თავს ვეკითხები, თუკი არ ხეირდებოდათ, მაშ რისთვის ააგეს ასე ძვირადღირებული საცურაო აუზი?

ვინ გაგვცემს ამ კითხვაზე პასუხს?

ნუგზარ ფვანია,

„ლელოს“ საკ. კორ.

ზუგდიდის რაიონი.

ავტორის ფოტოები.



თანამედროვე ოლიმპიადები — პირველიდან ოცდაშვიდამდე

სარეკორდო თამაშები

VIII ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე პრეტენზიას ექვსი ქალაქი (ამსტერდამი, ბარსელონა, ლოს-ანჯელესი, პრაღა, რომი და პარიზი) აცხადებდა, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მხედველობაში მიიღო პიერ დე კუბერტენის ღვაწლი, ამაგი, დამსახურება და უპირატესობა მის მშობლიურ ქალაქს, პარიზს მიანიჭა.

პარიზის ოლიმპიადა (1924 წლის 4 მაისი — 27 ივლისი) ფრანგებმა

1924 წელს ოლიმპიურ ხოფელს ასეთი იერ-სახე ჰქონდა. მრავალსართულიანი ბინები და კომპლექსები მოდაში მოგვიანებით შემოვიდა.

მშვიდობისა და ურთიერთთანამშრომლობის ჰეშმარიტ დღესასწაულად აქციეს და ამით მთლიანად გაქარწყლეს II თამაშების მწარე მოგონება. მოსალოდნელ უსიამოვნებათა თავიდან აცილების მიზნით მათ დროულად დაიჭირეს თადარიგი: პარიზის გარეუბანში ააშენეს კომფორტული სტადიონი „კოლომბო“ 62 ათასი მაყურებლისთვის. შეაკეთეს და განაახლეს ყველა სპორტული ბაზა, დამხმარე ნაგებობა, სპორტსმენთა საცხოვრებელი ბინები. მსაჯებისა და სტუმრებისათვის პირველხარისხოვანი სასტუმროები ააშენეს... პარიზს სჭირდებოდა რეკლამა, კეთილი და გულუხვი მასპინძლის სახელის დამკვიდრება. ამ მიზნით ხელისუფლებამ არც სახსრები დაზოგა და არც ენერგია.

სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია (აიპს-ი), რომელიც იმთავითვე საერთოდ სპორტის, კერძოდ კი ოლიმპიადების პოპულარიზაციისთვის იყო მოწოდებული. ორგანიზაციის დამფუძნებელი კონგრესის ვალდებულებაში იყო ასეთი სიტყვები: „ყველა ჟურნალისტმა თავისი ყოველდღიური საქმიანობა ნათელი იდეის სამსახურს უნდა დაუკავშიროს“. ნათელ იდეაში, ბუნებრივია, იმ დროს ერთობ პოპულარული ოლიმპიური იდეალები იგულისხმებოდა. აიპს-ის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის პარიზის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთ წევრს მ. რეშელს.

VIII ოლიმპიურ თამაშებში ბევრი რამ იყო სარეკორდო: მონაწილე ქვეყნების (44), სპორტსმენების (3092), მათ შორის ქალთა (136) რაოდენობა. გაუმჯობესდა მძლეოსნობაში 14, ცურვაში 11 ოლიმპიური რეკორდი. ამათგან შესაბამისად 8 და 4 მსოფლიო რეკორდი იყო. ოლიმპიურ თამაშებში პირველად სცადეს ძალები ირლანდიის. მექსიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ურუგვაის, ფილიპინების, ეკვადორისა და ჰაიტის სპორტსმენებმა. გერმანიას, ისევე როგორც 1920 წელს ანტვერპენში, უარი ეთქვა ოლიმპიადაში მონაწილეობაზე.

პროგრამა ფაქტობრივად იგივე დარჩა, რაც წინა თამაშებში. ამოიღეს მხოლოდ მშვილდოსნობა, ბალახის ჰოკეი და ზამთრის სახეობები. მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები ფრანგულ კრივში, ბასკურ პელოტაში, ფრენბურთსა და კალათბურთში. სპორტსმენმა ქალებმა მონაწილეობა მიიღეს მოცურავეთა, წყალში მხტომელთა და ჩოგბურთელთა ტურნირებში, პირველად მოსინჯეს ძალები ფარიკაობაში.

პარიზის ოლიმპიადაზე საფუძველი ჩაეყარა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ქულათა დარიცხვის ახლებურ სისტემას, რომლის თანახმადაც პირველი ადგილი იძლეოდა 7 ქულას, მეორე — ხუთს, მესამე — ოთხს, მეოთხე — სამს, მეხუთე — ორსა და მეექვსე — ერთ ქულას. ეს სისტემა, რომელსაც ოლიმპიური სისტემა დაერქვა, დღემდე ძალაშია და გუნდური შედეგების განსაზღვრის ერთადერთ კრიტერიუმს წარმოადგენს.

პარიზში უკანასკნელად ჩატარდა ჩოგბურთელთა ტურნირი. თამაშების დამთავრების შემდეგ სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაცია მკვეთრად გაემიჯნა ოლიმპიურ მოძრაობას და თავისი ტურნირი დააწესა. გაუმართლებელი ექსპერიმენტის ჩატარება მოუხდათ ძალოსნებს — სამჭიდის ნაცვლად ისინი ხუთჭიდში ასპარეზობდნენ (აკვრა და ატაცი ცალი ხელით, აკვრა, აჭიმვა და ატაცი ორი ხელით) მაგრამ სიახლემ ვერ ივარგა.

პარიზის ოლიმპიადის გმირი, ხუთი ოქროს მედლის მფლობელი, ფინელი სტაიერი პაავო ნურმი.

პარიზის ოლიმპიადამ ბევრ ახალგაზრდა სპორტსმენს გაუხსნა გზა დიდ სპორტში. მათ შორის ერთერთი ყველაზე გამორჩეული იყო ამერიკელი მოცურავე ჯონი ვაისმიულერი (შემდგომში ტარზანის როლის პოპულარული შემსრულებელი ამავე სახელწოდების კინოსერიალში), რომელმაც 3 ოქროს მედალი დაისაკუთრა, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კი პირველმა გადალახა ერთწუთიანი ზღვარი და 59,0 აჩვენა. სხვათა შორის, ბავშვობაში იგი გულის მანკით ყოფილა დაავადებული და ცურვა მშობლებმა სამედიცინო პროფილაქტიკის მიზნით დაუწყებინეს. მზემ, წყალმა და ჰაერმა სავსებით განკურნა ავადმყოფი ორგანიზმი და ერთ დროს სუსტი აგებულების ბავშვი მსოფლიო მნიშვნელობის სპორტსმენად აქცია.

ოლიმპიადის ერთ-ერთი აღმოჩენა იყო ურუგვაის ფეხბურთელთა გუნდიც, რომელმაც ყველა გააოცა ბრწყინვალე თამაშით და ჩემპიონის ოქროს მედლები დაისაკუთრა.

და მაინც პარიზში, ისევე როგორც ოთხი წლით ადრე ანტვერპენში, ყველაზე პოპულარული სპორტსმენი ფინელი სტაიერი პაავო ნურმი იყო, რომელმაც ამჯერად ხუთი ოქროს მედალი დაისაკუთრა (რბენა 1500 და 5000 მეტრზე, 3000 მეტრზე კროსში, აგრეთვე 10 კილომეტრზე გუნდურ და პირაღ კროსში).

დაბოლოს გუნდურ შედეგებსა და მედლებზე:

	ო.	ვ.	ბ.
აშშ	45	27	27
საფრანგეთი	13	15	11
ფინეთი	14	13	10
ინგლისი	9	13	12
შვეიცარია	4	13	12
შვეიცარია	7	8	10



„ტარზანის“ როლის პოპულარული შემსრულებელი. ამერიკელი მოცურავე ჯონი ვაისმიულერი თავისუფალი სტილით ცურვის დისტანციაზე.

ფინიშამდე რაღა დარჩა...

(დასასრული)

და. სინამდვილეში კი მან შეძლო მდგომარეობის თანდათან გამოსწორება და ყაიმს მიაღწია. ამ მოულოდნელმა შედეგმა შეცვალა სურათი ლიდერთა ჯგუფში. არახამიას ტაქტიკური მუქარა კახიანის მატერიალურ უპირატესობაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და მან მოიგო კიდეც. ამრიგად, არახამიამ ერთი საოამოს განმავლობაში იშვიათ წარმატებას მიაღწია — ორი პარტია მოიგო და სატურნირო ცხრილის ბოლოდან მის შუაგულში გადაინაცვლა. დაახლოებით იგივე ითქმის გაფრინდაშვილზე, რომელმაც სძლია იოსელიანს.

8 ტურის შემდეგ შეიძლება შეჯიბრების მონაწილეების ორ ჯგუფად დაყოფა. ერთს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც შესაძლებელი ქულების ნახევარზე ნაკლები მოაგროვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი საპრიზო ადგილებისათვის უკვე ვეღარ იბრძოლებენ. ასეთი მონაწილე დღეისათვის ხუთია. რაც შეეხება დანარჩენ ექვსს, მათ, რა თქმა უნდა, ოპტიმისტური განწყობილების საფუძველი აქვთ.

უნდა ითქვას, რომ გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ მნიშვნელოვნად განმტკიცდა ზურაბ სტურუას პოზიცია. ახლა მას 5 ქულა აქვს რვიდან და მთელი ქულით უსწრებს მაია ჩიბურდანიძეს, ლაშა ჯანჯღავასა და იგორ ეფიმოვს. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ, მონაწილეებს ხომ გარკვეული მიზეზების გამო პარტიათა არათანაბარი რაოდენობა აქვთ ჩატარებული. სტურუას კი მხოლოდ ორი შეხვედრა დარჩა, სამივე მის მეტოქეს კი — 3-3, 3,5-3,5 ქულა და ერთმანეთთან გადადებული პარტია აქვთ გია გიორგაძესა და ბუხუტი გურგენიძეს, მაგრამ მათი მდგომარეობაც არათანაბარია. გიორგაძეს, იმ გადადებული პარტიის გარდა, სამი პარტია რჩება ჩასატარებელი. გურგენიძეს კი მხოლოდ ორი. რა თქმა უნდა, როცა ლიდერსა და მეექვსე ადგილზე მყოფ მოჭადრაკეს ქულათა თვალსაზრისით ესოდენ მცირე ნაწილი აშორებთ, ხოლო დაკარგული ქულების თვალსაზრისით ოთხ მონაწილეს ერთნაირი – შესაძლებლობები აქვთ (სტურუას, ჩიბურდანიძეს, ჯანჯღავასა და ეფიმოვს), ბოლო ტურებში უაღრესად მძაფრ ბრძოლას უნდა მოველოდეთ. ქეთევან არახამიასა და ქეთევან კარიანს 3,5-3,5 ქულა აქვთ, ოღონდ რვიდან, ე. ი. სულ ორ-ორი პარტია დარჩათ ჩასატარებელი. გენადი ზაინიკი, რომელიც ძალზე წარუმატებლად თამაშობს ბოლო ტურებში, 3 ქულა აქვს შვიდიდან, ნონა გაფრინდაშვილს — 3 ქულა შვიდიდან, ხოლო ნანა იოსელიანს — 2 ქულა შვიდიდან. იოსელიანმა შეჯიბრება ჩინებულად დაიწყო, სამი ტურის შემდეგ ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ქულა ჩამოეწერა, როგორლაც დაკარგა ყოველგვარი ინტერესი შეჯიბრებისადმი და ახლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინერციით თამაშობს. რა თქმა უნდა, დასანანია ასეთი დიდი ძალის მოჭადრაკეს გაცილებით უკეთესი შედეგებისათვის უნდა მიეღწია.

მაშ ასე, მონაწილეები ფინიშისწორზე გავიდნენ.

ბიბი ბაბრეკელი

მინიტურიზმით დაიწყო...

თბილისს მე-200 და 191-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს ბოტანიკურ ბაღში მოწყობილი ეს ორკილომეტრიანი ლაშქრობა დიდხანს ემახსოვრებათ — მათ ხომ პირველი სპორტული ნათლობა მიიღეს და „ბაკაკაურად გაუძღეს“ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტული სადგურის მიერ საგანგებოდ შემუშავებული მეთოდური რეკომენდაციებით გათვალისწინებულ „დატვირთვებს“.

72 ნორჩი ტურისტი, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი და ზურგჩანთამოკიდებული, მოლაშქრეთა ნამდვილ რაზმს ჰგავდა და აკი იზეიმეს კიდეც გამარჯვების პირველი სიხარული.

მაია პაპაჩაშვილი,

საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური ექსკურსიო-ტურისტული სადგურის მეთოდისტი.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

თასების მფლობელთა თასი: ფინალი

ჰიუჯესის „შურისძიება“

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ მეორედ მოიგო ევროპის თასი — 1968 წელს ინგლისელები ჩემპიონთა თასს ფლობდნენ, 23 წლის შემდეგ კი მათ თასების მფლობელთა თასიც მოიპოვეს.

მანჩესტერელებმა დაამტკიცეს ინგლისის კლუბების მაღალი კლასი, როდესაც ფინალში განთქმული ესპანეთის „ბარსელონა“ დაამარცხეს — 2:1. იოჰან კრუიფსა და რონალდ კუმანს ვერც საკუთარმა „კედლებმა“ უშველეს. შეხვედრა როტერდამში ინგლისელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ კუმანმა მაინც შეძლო პრესტიჟის გოლის გატანა ინგლისელთა კარში, როცა მანჩესტერელები ორი ბურთით იყვნენ წინ. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ამ შეხვედრის მეორე ნახევრის შუა პერიოდში „ბარსელონა“ ორჯერ „დასაჯა“ ამ კლუბის ყოფილმა მოთამაშემ, ახლა კი „მანჩესტერის“ ფორვარდმა ჰიუჯესმა. თავის დროზე ესპანელთა კლუბმა უარი თქვა ამ ფეხბურთელზე და მის მაგივრად სხვა „ვარსკვლავები“ მიიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ „ბარსელონას“ ერთ-ერთი უცხოელი მოთამაშე ბულგარელი სტოიჩკოვი ტრავმის გამო ფინალში არ მონაწილეობდა, ხოლო დანიელ ლაუდრუპს თამაში ნამდვილად არ გამოუვიდა. სტოიჩკოვის გარდა ამ შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო თამაში ვერ შეძლეს მეკარე სუბისარეტამ და ნახევარმცველმა ამორმა. თუმცა „მანჩესტერსაც“ აკლდა ინგლისის ნაკრების წევრი უები. ამიტომაც ორივე გუნდის შემადგენლობა საკმაოდ შესუსტებული იყო. ახლა კი გაგაცნობთ ფინალის მონაწილეებს:

„მანჩესტერი“: სილი, ირვინი, ბლეკმორი, ბრიუსი, ფელანი, პალისტერი, რობსონი, ინსი, მაკლეირი, ჰიუჯესი, შარპი.

„ბარსელონა“: ბუსკეტა, ნანდო, ალესანკო (პინილა), კუმანი, ერერა, ბაკერო, გოეკოეჩეა, ეისებიო, სალინასი, ლაუდრუპი, ბეგირისტაინი.

მატჩის პირველ ნახევარში საგრძნობი იყო ესპანელთა ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ ეს ანგარიშში არ ასახულა. მეორე ტაიმში კი ის, რაც ვერ მოახერხა „ბარსელონამ“, გააკეთა ჰიუჯესმა. ბოლო წუთებზე ესპანელებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ლაუდრუპის დარტყმა ერთ-ერთმა ინგლისელმა მცველმა ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა, რითაც „ბარსელონას“ ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

ინგლისური ფეხბურთის თაყვანისმცემლებს დღეს ორმაგი დღესასწაული აქვთ. „მანჩესტერის“ გამარჯვების გარდა, მათ, ცხადია, ისიც ახარებთ, რომ გაისად გაორმაგდება ევროპულ ტურნირებში მონაწილე ინგლისური კლუბების რაოდენობა — კერძოდ ასპარეზობებში თავიდანვე ოთხი ინგლისური კლუბი ჩაებმება. სამი უკვე ცნობილია: ჩემპიონთა თასზე ითამაშებს „არსენალი“, უეფა-ს თასზე — „ლივერპული“, თასების თასზე კი — „მანჩესტერი“ და ინგლისის თასის გათამაშების ხვალინდელ ფინალურ მატჩში გამარჯვებული „ტოტენჰემი“ ან „ნოტინგემი“.

• • •



სურათებზე: მოზეიმე მანჩესტერელები; მატჩის მომენტი, რომელიც ნათლად ასახავს შეხვედრის სიმძაფრეს; ჰიუჯესის პირველი გოლი — ორი რაკურსი.

მერაბ რატიშვილის „ტელეფოტოები“

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ლიტვის ქვეშევრდომი

- **კაცი, რომელმაც სასწაულებს შეგვაჩვია.**
- **კლინიკიდან მოედანზე, მოედნიდან კლინიკაში.**
- **გულივერი — პატარა ბიჭის ხასიათით.**
- **შეიძლება ყველგან ითამაშოს, გარდა სსრკ-ს ნაკრებისა.**
- **...და დადის მსოფლიოში საბჭოთა კავშირის მიერ დაკარგული ლიტვის პასპორტით.**

არიან ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ყურადღების ცენტრში იმყოფებიან. დღეს ერთ-ერთ მათგანზე, არვიდას საბონისზე გესაუბრებით. იგი დიდი კალათბურთელი რომც არ იყოს, მაინც „განწირული“ იქნებოდა საყოველთაო ყურადღებისთვის — 2 მ და 24 სმ სიმაღლის კაცი ხალხს როგორ „დაემალება“? არვიდასს სკოლაში ძალზე რცხვენოდა თავისი სიმაღლისა, თუმცა მაშინ იგი „სულ რაღაც“... 2 მეტრი იყო, მაგრამ სპორტის ძალა ხომ სწორედ იმაშია, რომ არც „წრიპას“ გამოარჩევს და არც გოლიათს, ყველას ერთნაირად „შეიფარებს“ და გამოუძებნის ადგილს. საერთოდ კი, საბონისმა ძალიან მალე დათრგუნა საკუთარი სიმაღლით გამოწვეული სიმორცხვე და სწორედ იმ საბონისად იქცა, ქვეყანა რომ აალაპარაკა.

მოედანზე იგი სასწაულებს ახდენდა. ჩვენც შეკეჩვეთ ამას, მაგრამ პირადად ჩემთვის ყველაზე გამორჩეული ღა დაუკიწყარია არვიდასის თამაში არა სეულის ოლიმპიადაზე, არა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, არა ევროპის საკლუბო ტურნირებზე, არამედ...

1987 წლის გაზაღხულზე ფეხის მძიმე ოპერაციის შემდეგ იგი მოსკოვში, „ციტო“-ს ლინიკაში იწვა, ამ დროს კი მისი მშობლიური „ჟალგირისი“ კაუნასში დამარცხდა ცსკა-სთან სსრკ-ის ჩემპიონატის სუპერფინალის პირველ მატჩში. გავიხსენოთ მაშინდელი ცსკა-ს შემადგენლობა: ტარასენკოვი, ტიხონენკო, ვოლკოვი, ტკაჩენკო, გობოროვი, პანკრაშკინი. ერთი წლის შემდეგ ტკაჩენკოს გარდა ყველა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა საბონისთან ერთად. მაგრამ ეს ერთი წლის შემდეგ... 1987 წლის გაზაფხულზე კი ისინი „ბარიკადების“ სხვადასხვა მხარეს იდგნენ. იმ ხანად „ციტო“-ს ლინიკაში მკურნალობდა კიდევ ერთი ცნობილი კალათბურთელი — თბილისელი ნიკოლოზ დერიუგინი. ერთი საიდუმლო უდა გ-კიმბალოთ: მეორე ფინალური მატჩის წინ საბონისი საავადმყოფოდან „გაიპარა“, მესამე გადამწყვეტი თამაშის წინ კი მას დერიუგინმაც „მიჰპაძა“. საბონისის „გაპარვამ“ პრესა ერთობ აახმაურა. ლიტვის. დელეგაციამ მოახერხა დაეწმუნებინა არვიდასის მკურნალი ექიმი, პაციენტი კლინიკიდან გაეწერა გადამწყვეტი მატჩების წინ. მესამე შეხვედრის დაწყებამდე ლუჟნიკების სპორტის სასახლეში ნიკოლოზ დერიუგინს შეეხვდი. მან გულახდილად აღიარა, რომ იგი აქ საბონისის თამაშის სანახავად მოვიდა. თან გაკვირვებულმა დასძინა: „როგორ მოახერხეს მოგება (გულისხმობდა „ჟალგირისის“ გამარჯვებას მეორე მატჩში), გუშინ ხომ არვიდასი საავადმყოფოში ძლივს დადიოდა?“

და აი, დაიწყო მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა და მართლაც სასწაული ვიხილეთ: პრაქტიკულად „ცალფეხა“ საბონისმა, რომელიც მოედანზე უფრო დადიოდა, ვიდრე დარბოდა, ფართან ყველა ბრძოლა მოიგო. ხუთი გაფრთხილებით მოედანი დატოვეს ტკაჩენკომ, პანკრაშკინმა, გობოროვმა, ლიტველმა კალათბურთელმა კი, რომელიც პირველ ტაიმში უკვე ოთხჯერ გაფრთხილეს, მთელი მეორე ტაიმი და დამატებითი 5 წუთი ბოლომდე ითამაშა. სხვა მატჩებში, როდესაც საბონისი თავს ჯანმრთელად გრძნობდა, იგი, ცხადია, უკეთ თამაშობდა, მაგრამ ისეთი თავგანწირვით, როგორც იმ საღამოს, მას არასოდეს უბრძოლია. — არაფერი ზედმეტი, ვიმოქმედო ზედმიწევნით უბრალოდ, მაგრამ საიმედოდ. მე გუნდს ვჭირდები, უჩემოდ ფარ-ხვეშ თამაშს ვერ მოიგებენ — აი, რა გამოსჩენოდა საბონისის ყოველ მოძრაობაში... და „ჟალგირისმა“ გაიმარჯვა. მატჩის შემდეგ დერიუგინი ძალზე სიტყვაძუნწი იყო: „იგი დიდი მოთამაშეა“-თქვა მან და საავადმყოფოში დაბრუნდა.



არვიდას საბონისი

მსგავსი რამ სეულშიც გამეორდა. ერთწლიანი მკურნალობის შემდეგ საბონისმა ოლიმპიადა ძალზე სუსტად დაიწყო, მაგრამ ამერიკელებთან ფინალურ მატჩში მან კვლავ შეუძლებელი შეძლო. აშშ-ის ნაკრების ორმა საუკეთესო თავდამსხმელმა, რომლებიც ყოველ მატჩში 20 ქულაზე ნაკლებს არასოდეს აგროვებდნენ, საბონისის პირისპირ თამაშისას (ორივემ ერთად) მხოლოდ 2(!) ქულა მოუტანა გუნდს.

არვიდას საბონისი რომ ბრწყინვალე კალათბურთელია, ამას რა მტკიცება სჭირდება. მაგრამ, ჩემი აზრით, ის საყოველთაო აღიარება და სიყვარული, რომელსაც ამ სპორტსმენს მიაგებენ ყველგან, განსაკუთრებით კი, ცხადია, ლიტვაში, მხოლოდ მისი უმაღლესი ოსტატობით როდია განპირობებული. კურტინაიტისიც, ხომიჩუსიც, ივანაუსიც ხომ შესანიშნავი კალათბურთელები არიან, მაგრამ სად საბონისის და სად მათი (ყველასი ერთად) სიყვარული და პოპულარობა ლიტვაში! რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ საბონისის სიმაღლით არ აიხსნება — ტკაჩენკოც ხომ 2 მ და 20 სმ-ზე მეტია. პასუხი ძალზე მარტივი და, შესაძლოა, ძალზე სადავო იყოს საქმისადმი პროფესიული მიდგომის თვალსაზრისით. ერთი ლიტველი ჟურნალისტი (მის გვარს არ დავასახელებ, ეს კონფიდენციალური საუბარი გახლდათ) ამ მოვლენას ასე განმარტავს „საბონისი ყველას იმიტომ უყვარს, რომ მას პატარა ბიჭის ხასიათი აქვს. დიახ, დიახ, სწორედაც რომ ბიჭის. იგი ხომ ნამდვილი გულიერია, რომელიც გაეროშვილთ იქცევა: მას შეუძლია მატჩამდე ერთი დღით ადრე რესტორანში ექეიფოს, ქალებში დრო ატაროს, კონიაკიც ბლომად დალიოს, გიტარაზეც დაუკრას, იმღეროს, იცეკვოს და იმხიარულოს, ივანაუსს, კურტინაიტისს და ხომიჩუსს კი ამ დროს უკვე სძინავთ. ამას მთელი კაუნასი, მთელი ლიტვა ხედავდა. ასეთი რამ არ იმალება. რა თქმა უნდა, ყოველი თამაშის წინ ასე არ ხდებოდა. თავიდან საბონისს ასეთი საქციელი გულშემატკივრების აღტაცებას არ იწვევდა, თაყვანისმცემლები მას დამარცხებას ვერ პატიობდნენ. მაგრამ „ჟალგირისი“ თამაშს თამაშზე ეგებდა, საბონისი კი სასწაულებს ახდენდა. ყველამ შეიგნო, რომ მთ წინაშე სუპერტალანტია, ტალანტებს კი ბევრი რამ ეპატიებათ. საბონისი ყველაფერში უჩვეულოა — მოედანზეც და მის გარეშეც. ეს კი ბევრს დიდ სიბრაზეს ჰგვრის. ბოდა, გაკითხებით — რატომ არ უნდა უყვარდეთ იგი?“

სეულის შემდეგ საბონისზე ნგა-ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „პორტლენდი“ ნადირობდა. სამწლიან კონტრაქტში 10 მილიონ დოლარსაც სთავაზობდა, მაგრამ საბონისი ესპანეთში წავიდა, არაფრით გამორჩეულ „ფორუმში“.

...და „ფორუმიც“ გარდაქმნა. ადრე ეს გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ათეულში იკავებდა ადგილს, მაგრამ კი საბონისის წყალობით მეოთხე ადგილზე გაიდა. „ფორუმი“ ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია.

ამბობენ, არვიდასის ცხოვრების წესი თითქმის არ შეცვლილაო. თუმცა, ვინ იცის... საბონისმა ხომ ახლახან იქორწინა და ვაჟიც შეეძინა. იქნებ ახლა მაინც დადინჯდეს იგი და ჩვენ თუ არა, ესპანელი გულშემატკივრები მაინც გაეხაროს გენიუმორებელი თამაშით.

სხვათა შორის, „პორტლენდი“ საბონისს კვლავ მილიონებს სთავაზობს. სად ითამაშებს იგი მომავალ სეზონში ჯერ არავინ იცის. მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება გადაჭრით — იგი არ ითამაშებს სსრკ-ს ნაკრებში.

— რატომ უნდა ვითამაშო სხვა ქვეყნის ნაკრებში, მე ხომ დამოუკიდებელი ლიტვის ქვეშევრდომი ვარ — ასე განაცხადა საბონისმა, როდესაც მას არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლა შესთავაზეს.

• P.S.-ციტატა: „ცნობილია, რომ განთქმული სპორტსმენი არვიდას საბონისი ევროპაში და ამერიკაში მოგზაურობის დროს იყენებს ლიტვის ხალხმწიფოს პასპორტს. იგი ცნობილი პიროვნებაა. სხვა ვინმეც ხომ არ ხარგებლობს ამ პასპორტით?

ვიქტორას ბალტუშისი: იგი ჩვენი პასპორტით არ სარგებლობს. საბონისს პასპორტი ვაშინგტონში გასცა ბატონმა ლაზარიტისმა (ემიგრაციაში მყოფი ლიტვის მთავრობის წარმომადგენელმა). ის საბჭოთა კავშირს მიერ დაჰყრობილი ლიტვის პასპორტია და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გადის, საბჭოთა კავშირის გარდა“.

(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 14.5.91).

ზურაბ ტაბატაძე

რა ისმის უცხოეთიდან?

სენსაცია მწიფდება

19 მაისს გაიმართება ნბა-ს (კალათბურთის ეროვნული ასოციაცია) ჩემპიონატის მეოთხედფინალური ხერეების ორი მატჩი აღმოსავლეთის კონფერენციის კლუბების მონაწილეობით. ერთი დღით ადრე კი ამ შეოთხედფინალურ ეტაპს დასავლეთის კონფერენციის გუნდები დაამთავრებენ.

რა მდგომარეობაა დღეისათვის და როგორი დასრულდა ამ სერიების ბოლო მატჩები?

„ჩიკაგო“ — „ფილადელფია“ 3:1
„ბოსტონი“ — „დეტროიტი“ 2:1
„ლეიკერსი“ — „გოლდენ სტეიტი“ 3:1
„პორტლენდი“ — „იუტა ჯაზი“ 3:1

როგორც ხედავთ, სამ გუნდს — „ჩიკაგოს“, „ლეიკერსსა“ და „პორტლენდს“ ნახევარფინალში გასასვლელად მხოლოდ თითო შეხვედრის მოგება სჭირდება (შვიდმატჩიან სერიაში ოთხი ბრძოლის მოგება გამარჯვების ნიშნავს). ჯერჯერობით გაურკვეველი მდგომარეობაა „ბოსტონისა“ და „დეტროიტის“ ორთაბრძოლაში, მაგრამ სავარაუდო უფრო ისაა, რომ ნბა-ს ახლანდელი ჩემპიონი „დეტროიტი“ ჩამოშორდება მთავარი პრიზისათვის ბრძოლას და ეს იქნება წლევანდელი გათამაშების მთავარი სენსაცია.

ახლა რამდენიმე სიტყვა ბოლო შეხვედრებზე.

„ჩიკაგო ბულსი“ — „ფილადელფია-76.“ 101:85.

ჩიკაგოელთა სამივე ლიდერმა საუცხოოდ იბრძოლა და დაახლოებით ერთნაირი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში: მაიკლ ჯორდანმა —25 ქულა, ჰორას გრანტმა — ამდენივე და სკოტ პიპენმა — 20. გარდა ამისა, ჯორდანმა 12 ე.წ. საგოლე გადაცემა განახორციელა, გრანტმა კი თერთმეტჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

ჩიკაგოელთა მწვრთნელი ფილ ჯეკსონი ძირითადად კმაყოფილი იყო შედეგით, თუმცა თამაშის დამთავრების შემდეგ თქვა, მოწინააღმდეგის ფართან უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე ჩვენს საკუთართანო.

ფილადელფიელთა ლიდერი ბარკლეი პირველ ორ ტაიმში ერთობ აგრესიული იყო — 19 ქულა შეაქვს თავის გუნდს. მაგრამ შემდგომში იგი მეტ-ნაკლებად „ჩაკეტეს“. საბოლოო ჯამში ბარკლეიმ 25 ქულა მოაგროვა.

სხვათა შორის, მიმომხილველებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ „პლეიოფის“ მატჩებში „ფილადელფიას“ ასე „დაბალნაყოფიერად“ (ოთხი ტაიმის განმავლობაში 85 ქულა, ანუ თითო 12-წუთიან მონაკვეთში 21 ქულა) არ უთამაშია 1982 წლის შემდეგო. ჩიკაგოელთა ერთ-ერთი ლიდერის პიპენის-განცხადებით, ამ გუნდების შეხვედრა საბოლოო იქნება.

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — „გოლდენ სტეიტ უორიორსი“ 123:107:

„ლეიკერსის“ ძალა, სპეციალისტთა აზრით, ისაა, რომ რამდენიმე სრულფასოვანი, თანაბარი სიძლიერის ლიდერი ჰყავს, რომელთაგან თითოეულს წარმატებით შეუძლია ინიციატივის ხელში აღება და ბრძოლის გაძღოლა. სწორედ ამიტომაა, რომ საუკეთესო ხან ერთი მათგანია, ხან მეორე. ამ სერიის მატჩებიდან პირველში მთავარი ბომბარდირი და მაშასადამე ლიდერი ბაირონ სკოტი იყო (27 ქულა), მეორეში — მეჯიკ ჯონსონი (44 ქულა), მესამეში — ჯეიმს უორთი (36 ქულა) და მეოთხეში — სემ პერკინსი (27). როგორც ხედავთ, განსხვავება ლიდერებს შორისაც არის. მეჯიკ ჯონსონი მათში შეუდარებელია.

„გოლდენ სტეიტის“ ტრადიციული სნაიპერი კრის მალინი (მეორე შეხვედრაში მან 41 ქულა შესძინა გუნდს) ამჯერად თამაშიდან მხოლოდ 9 ქულით გავიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ მეცხრედ მიიღებს მონაწილეობას „პლეი-ოფის“ ნახევარფინალურ სერიებში.

„პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი“ — „იუტა ჯაზი“ 104:101.

ეს ორთაბრძოლა საკმაოდ დრამატულად წარიმართა და ბოლომდე დაძაბული იყო. მატჩის მსვლელობაში „პორტლენდის“ გამარჯვება ეჭვს თითქოს არ იწვევდა, ვინაიდან იგი 15-18 ქულით იყო დაწინაურებული. მაგრამ მეტოქემ ნელ-ნელა გაათანაბრა თამაში და ბოლოს საკმაოდ კრიტიკული სიტუაცია შექმნა. შეხვედრის დამთავრებას 36 წამი აკლდა, როცა კლაიდ დრექსლერმა („პორტლენდი“) ჩაჯრა გადაცემა, დაეუფლა ბურთს და მეტად საჭირო 2 ქულა შესძინა თავის გუნდს. სხვათა შორის, დრექსლერმა საკმაოდ ნაყოფიერად ითამაშა — გუნდს 15 ქულა შესძინა, 11 ბურთი „მოხსნა“ ფარიდან და 10 შედეგიანი პასი განახორციელა. საუკეთესო სნაიპერი კი („პორტლენდში“) კევინ დაკვორტი იყო — 30 ქულა.

„იუტა-ჯაზიდან“ მომმხილველებმა გამოყვეს კარლ მელოუნი (31 ქულა), ჯეფ მელოუნი (23 ქულა) და ჯონ სტოქტონი (16 ქულა).

„ბოსტონ სელტიქსი“ — „დეტროიტ პისტონსი“ 115:83.

როდესაც ჩემპიონი („დეტროიტი“ კი სწორედ ნბა-ს ამჟამინდელი ჩემპიონი გახლავთ) მეოთხედფინალურ მატჩს 32 ქულით აგებს, უეჭველია, არც ისე კარგად აქვს საქმე. ჩემპიონს ერთხანს ფატალურად არ სწყალობდა ბედი და ბევრი საუკეთესო მოთამაშე დაშავებული ჰყავდა (დუმარსი, აგუირი, თომასი). ამან, როგორც ჩანს, გუნდი საბოლოოდ ამოაგდო კალაპოტიდან. ყოველ შემთხვევაში, „დეტროიტის“ წლევანდელი პერსპექტივები ერთობ პრობლემატურია. სწორედ ეს განაცხადა ბოსტონელთა მწვრთნელმა ჩაკ დეილიმ ამ მატჩის დამთავრების შემდეგ.

ბუნტი გრძელდება

ჯერ მხოლოდ ფაქტი. 9-11 მაისს ნატანიაში (ისრაელი) ჩატარდა ევროპის სამბისტთა მორიგი ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ შვიდი ქვეყნის (ბულგარეთის, ინგლისის, ჰოლანდიის, ესპანეთის, იტალიის, ისრაელისა და სსრ კავშირის) წარმომადგენლები. გუნდური გამარჯვება, როგორც ყოველთვის, საბჭოთა ათლეტებმა მოიპოვეს. მათი უპირატესობა უდავო იყო პირად ჩათვლაშიც — რვა ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთიც ბრინჯაოს მედალი.

ცოტა ისტორიული ექსკურსი. ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობის ამ სახეობაში 1972 წლიდან ტარდება. პირველ ადგილს გუნდურ ჩათვლაში, ტრადიციულად, საბჭოთა სამბისტები იკავებენ, მაგრამ ეს, კაცმა რომ თქვას, არც უნდა იყოს გასაკვირი: სამბო რუსული სპორტია (უფრო სწორად საბჭოთა კავშირის ხალხთა საჭიდაო ფოლკლორის თავისებური სინთეზი), რუსი სპეციალისტის მიერ გამოგონილი და საბჭოთა მოჭიდავეები უნდა დომინირებდნენ კიდეც საერთაშორისო სარბიელზე.

1972 წლიდან მოყოლებული საბჭოთა სამბისტებს მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ ჰქონდათ „ჩავარდნა“ პირად ჩათვლაში. განმარტებისთვის: მოსკოველი სპეციალისტები ჩავარდნად მიიჩნევენ ისეთ შედეგს, როცა ათი მოჭიდავიდან ერთი ვერ ხდება პრიზიორი. ასეთი „საგანგაშო“ შემთხვევა დაფიქსირდა 1974 წელს მადრიდში, როცა რვა მოჭიდავე გახდა ჩემპიონი, ერთმა ვერცხლის მედალი მიიღო და ერთი უმეძლოდ დარჩა. სამაგეროდ, საბჭოთა სამბოს ჰქონდა აღმავლობის წლებიც, როცა ყველა ათი მოჭიდავე იღებდა ოქროს მედალს (მაგალითად, 1986 წელს, ლენინგრადში).

ბოლოს რამდენიმე კომენტარი. სამბოს გატანა საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა კავშირის სპორტული სტრატეგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო და, როგორც ყოველთვის, პროპაგანდისტულ მიზანს ემსახურებოდა. დამჯერებელი გამარჯვება, რაც შეიძლება ბევრი მედალი და, აქედან გამომდინარე, დასკვნა: საბჭოთა სპორტი მსოფლიოში უძლიერესია იმიტომ, რომ სოციალისტურ სისტემას ემსახურება. ხმამაღლა ამას, რა თქმა უნდა, არ ამბობენ, მაგრამ ქვეტექსტი მუდამ ასეთი გახლდათ.

თავდაპირველად დანარჩენი სამყარო მართლაც დაინტერესდა სამბოთი, მაგრამ როცა სხვა ქვეყნების სამბისტებს არ მისცეს გასაქანი, ენთუზიაზმი, ბუნებრივია, გაწყდა. და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეთა შორის ათ-თორმეტ გუნდს თუ ნახავდით. ახლა ეს მაჩვენებელი კრიტიკულ ნიშნულამდე ცავდა, რომლის იქით თვით ტურნირის ჩატარებასაც არა აქვს აზრი. ნატანიაში ეგზალიტად თქრა. ედალ ბასიანის შვიდი ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ, სრული გუნდი კი მხოლოდ საბჭოთა კავშირმა გამოიყვანა.

ბუნტი სამბოს სამყაროში გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ კულმინაციას ამ ცოტა ხნის წინ მიაღწია. „ლელო“ უკვე იუწყებოდა იმის შესახებ, რომ ევროპის ჩემპიონატი ყოვლად უინტერესო ტურნირი გახდა, რომ საბჭოთა მონოპოლიზმმა დააფრთხო უცხოელი სამბისტები და ისინი მასობრივად ტოვებენ სარბიელს. სხვა სახეობებში გადადიან, რომ ამასთან დაკავშირებთ ხმა აიმაღლეს იტალიისა და საფრანგეთის სამბისტთა ორგანიზაციებმა და რომ დღის წესრიგში დადგა ევროპის ალტერნატიული ჩემპიონატის მოწყობის აუცილებლობა, რომელშიც საბჭოთა კავშირიდან ცალკეული რესპუბლიკების წარმომადგენლები იასპარეზებენ.

ამ დღეებში დამთავრებულმა ტურნირმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ოპოზიციონერთა სომართლე. ახლა უფრო რეალური და მიმზიდველი გახდა ალტერნატიულ ჩემპიონატში მონაწილეობა, რომლის ჩატარებაც ნავარაუდევია 22-25 ივნისს მილანში.

ლოგიკაც ამას ჰქვია

** იმის** გამო, რომ მშვიდობის ტრადიციულ ველორბოლას გამოაკლდა ერთ-ერთი დამფუძნებელი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ერთ დროს პოპულარული შეჯიბრება შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარდა. ბუნებრივია, შემცირდა ტრასის წიგრძე და ეტაპების რაოდენობა. იყო კიდევ ერთი სიახლე: წლევანდელ ასპარეზობას არ გამოუვლენია გამარჯვებული გუნდი. ველოსიპედისტები პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს მხოლოდ პირად ჩათვლაში.

ცხრაეტაპიანი რბოლა 23 წლის უკრაინელმა ვიტორ რეკაკინსკიმ მოიგო (ჯილდოდ მან მიიღო „შკოდა-ფავორიტის“ მარკის ავტომანქანა). მეორე ადგილი პოლონელ დარიუშ ბარანოვსკის ერგო, მესამე — ჩეხოსლოვაკიელ მიროსლავ ლიპტაკს.

ამ ინფორმაციის დამთავრება შეიძლებოდა აქვე, ერთი საინტერესო გარემოება რომ არა. რბოლის პირველ ნახევარში კარგად იასპარეზა თბილისელმა ვასილი დავიდენკომ, რომელმაც ორი ეტაპი მოიგო, დიდხანს ლიდერთა შორის იყო და საბოლოოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა.

აი რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით მწვრთნელმა ნიკოლოზ გორელოვმა:

— ლიდერის ყვითელი მაისური მეშვიდე ეტაპის შემდეგ ვიქტორ რეკაკინსკიმ ჩაიცვა... ვასილი დავიდენკოს დახმარებით. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ დავიდენკოს გაუჭირდებოდა საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა (**კაცმა არ იცის რატომ, რედ.**) და იგი უკეთ გაართმევდა თავს პოლონელ მიცკევიჩის მეურვეობას (**ესეც გაუგებარია რატომ, რედ.**). ამიტომ იგი „თვალში ჩაუსვეთ“ (**არის ასეთი გამოთქმა ველოსპორტში, რედ.**) ამ უკანასკნელს. ჩვენმა ტაქტიკამ, როგორც ხედავთ, გაამართლა, ასკვნის გორელოვი (**ლოგიკაც ამას ჰქვია**).

ამ ტაქტიკამ მართლაც გაამართლა, ოღონდ ცალმხრივად: რეკაკინსკი პირველ ადგილზე გავიდა, დავიდენკო კი მეექვსეზე, ეს ისე, ცნობისთვის. თორემ თბილისელი ველოსიპედისტის ძალაზე ყველაზე კარგად მეტყველებს ის ფაქტი, რომ დავიდენკოს ამ რბოლაში სამი მთავარი პრიზი ერგო: ყველაზე აქტიური, ყველაზე მრავალმხრივი ველოსიპედისტისა და „სამთო ეტაპების მეფისა“...

ამ ცნობამ, მართალი გითხრათ, კიდეც გაგვახარა და... კიდეც გაგვაკვირვა. მას შემდეგ, რაც საქართველოს სპორტსმენებმა უარი თქვეს საკავშირო ნაკრებში მონაწილეობაზე, დაგვაინტერესა როგორ მოხვდა ვასილი დავიდენკო გუნდში? ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ომარ ფხაკაძემ განგვიმარტა:

— დავიდენკო სეზონის დასაწყისიდან უცხოეთში იმყოფებოდა. იმ დროს, როცა ჩვენმა სპორტსმენებმა ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს, იგი იტალიაში გახლდათ, და ორ იქაურ რბოლაში ასპარეზობდა. იტალიიდან დავიდენკო პირდაპირ მშვიდობის ველორბოლაზე გაემგზავრა. ასე რომ, საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ იგი არ ყოფილა ინფორმირებული.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

აპტოგრაფები ტაბლოზე

გეტებორგი (შვეცია). ევროპის ჩემპიონატი კრივში. ფინალი. პირველად დასახელებულნი არიან გამარჯვებულები: 48 კგ. ი. მარინოვი (ბულგარეთი) — ლ. კასტილიონე (იტალია), **51.** ი. კოვაჩი (უნგრეთი) — მ. ლოხი (გერმანია), **54.** ს. ტოდოროვი (ბულგარეთი) — მ. დიასი (ჰოლანდია), **57.** ვ. გრიფინი (ირლანდია) — ფ. გატინი (სსრ კავშირი), **60.** ვ. ნისტორი (რუმინეთი) —ა. ხამატოვი (სსრ კავშირი). **63,5.** კ. ცზიუ (სსრ კავშირი) — ა. ციულოვი (გერმანია). **67.** რ. ველინი (შვეცია) — ვ. იერეშჩენკო (სსრ კავშირი), **71.** ი. აკოფკოხიანი (სსრ კავშირი) — ტ. შმიტცი (გერმანია), **75.** ს. ოტკე (გერმანია) — მ. ფრანეკი (ჩეხოსლოვაკია). **81.** დ. მიხალჩევსკი (გერმანია) — პ. ზვეზერინენი (ჰოლანდია). **91.** ა. ვანდერლეიდე (ჰოლანდია) — გ. სტეფანოპულოსი (საბერძნეთი). **+91.** ე. ბელოუსოვი (სსრ კავშირი) — ა. შნიდერსი (გერმანია).



19-20 მაისს

თბილისში, მედიცინის მუშაკთა კულტურის სასახლეში (ხეთაგუროვის, 26) ჩატარდება მეოთხე საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ათლეტიზმის ერთ-ერთ სახეობაში — კულტურიზმში, სახელწოდებით — „ოქროს საწმისი“. ქართველი ათლეტების გარდა ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ როგორც სსრ კავშირის, ისე საზღვარგარეთელი სპორტსმენები.

შეჯიბრების პროგრამა:
19 მაისი — ნახევარფინალი. 12 საათზე.
ფინალი — ყოველ წონით კატეგორიაში 18 საათზე.

20 მაისი — აბსოლუტური კატეგორიის გათამაშება ყოველ წონით კატეგორიაში გამარჯვებულთა შორის. მინიტურნირი ქალთა შორის, საჩვენებელი პროგრამა — 18 საათზე.

ვითვალისწინებთ რა ბოლო წლის მანძილზე ქართველ კულტურისტთა დონის მკვეთრად ამაღლებას, მაყურებელს ვთავაზობთ შთამბეჭდავ სანახაობას.



უსიტყვოდ...

ამირან ერაძის ნახატი.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ჭ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიის გამომცემლობა „საბჭოთა ლელოს“ სტამბა. 380009, თბილისი, ჭ. კოსტავას, 14. ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხიშარულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20